საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ბავშვის მიმართ ძალადობა

საჭიროებების კვლევა

თბილისი
2018

წინამდებარე კვლევა შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და კვლევის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ავტორი: **მარინა მესხი (სამართლის დოქტორი)**

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **ირმა პავლიაშვილი**
ნინო ჩიხლაძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© 2018, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

კვლევის სტრუქტურა:

1. კვლევის ძირითადი მიგნებები 4

2. შესავალი 7

3. ბავშვის მიმართ ძალადობის ფორმები 8

3.1. ბავშვის მიმართ ძალადობა ოჯახში 9

3.2. ბავშვის მიმართ ძალადობა სკოლაში 15

3.3. ბავშვის მიმართ ძალადობა საზოგადოებაში 18

3.4. ბავშვის მიმართ ძალადობა მედიასივრცეში 24

4. დასკვნა და რეკომენდაციები 25

1. კვლევის ძირითადი მიგნებები

ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში – კონვენცია) მე-19 მუხლის მიხედვით, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიება, რომელიც მიმართულია ბავშვთა დაცვისკენ. მისი მიზანია ბავშვის დაცვა მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის, ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ძალადობის განხორციელებისგან – იქნება ეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური ძალადობა, შეურაცხყოფა და ბოროტმოქმედება, უხეშად მოპყრობა, ექსპლუატაცია, სექსუალური ძალადობა თუ ძალადობის სხვა ფორმა.[1]

კვლევაში განხილულია ბავშვის მიმართ ძალადობა ისეთ სფეროებში, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისა და მისი საუკეთესო ინტერესების დაცვის კუთხით. ეს სფეროებია: ოჯახი, სკოლა, საზოგადოება და მედიასივრცე. შესაბამისად, კვლევაში ჩამოყალიბებულია ბავშვის მიმართ ძალადობის გამომწვევი მიზეზები და რეკომენდაციები.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- კვლევის თეორიული საფუძვლების, შერჩევის წესებისა და მეთოდების განსაზღვრა;
- კვლევის ძირითადი პრინციპების და პრობლემური მონახაზის გამოკვეთა;
- თემის შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ნორმატიული მასალის, არსებული გამოცდილებისა და გამოქვეყნებული დოკუმენტების შესწავლა.

[1] ბავშვის უფლებათა კონვენცია, მ. 19.

ზემოაღნიშნული სფეროების მიხედვით, ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობის კვლევისას, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

1. **ბავშვის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ხარვეზები**

ბავშვის მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის განხილვისას გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზა სრულყოფილი არ არის:

- საქართველოს კონსტიტუციაში ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით არ არსებობს ცალკე ჩანაწერი;
- ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტების გახშირების გამო გადასახედია სანქციების გამკაცრების საკითხი;
- კანონმდებლობა დასახვეწია ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხთან მიმართებით;
- საჭიროა, დღის წესრიგში დადგეს ბავშვთა ომბუდსმენის არსებობის საკითხი და, პოლიტიკური თანხმობის მიღწევის შემთხვევაში, შესამუშავებელია შესაბამისი ნორმატიული აქტი.

2. **ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციული პროგრამების ხარისხი და განვითარების აუცილებლობა**

ამ საკითხის დამუშავებისას გამოიკვეთა შემდეგი ზომების გატარების აუცილებლობა:

- შესაბამისი კამპანიების აქტიურად წარმოება ბავშვთა დაცვის რეფერირების სისტემისა და პროცედურების შესახებ;
- ასევე, ამ პროცედურებში მონაწილე შემდეგი სუბიექტების როლის გაძლიერება:
    - ა) პოლიცია;
    - ბ) სოციალური მუშაკები;
    - გ) სკოლა;
    - დ) ბავშვზე ზრუნვის სამსახურები;
    - ე) სამედიცინო დაწესებულებები და ა.შ.

– აუცილებელია შესაბამისი კამპანიების წარმოება საზოგადოების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ, ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისას.

3. მედიასივრცეში ბავშვის მიმართ ძალადობის გაშუქებასთან დაკავშირებული პრობლემები

აღნიშნული სფერო კვლევისთვის ინოვაციურია, თუმცა, მედიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები:

– მედიის მიერ ბავშვთა საკითხების და ბავშვთა მიმართ ძალადობის განხილვისას პრობლემის სიღრმისეული ანალიზის ნაკლებობა და სენსაციური ხასიათის სიუჟეტების სიჭარბე;

– მედიის მიერ სტერეოტიპების აღმოფხვრისკენ მიმართული პოლიტიკის შემუშავების და გატარების აუცილებლობა.

4. რეფერირების სისტემის მონაწილე სამინისტროებში არსებული ხარვეზები

ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

– გადასახედია სასწავლო პროგრამები სტერეოტიპების აღმოფხვრის მიზნით;

– უნდა გადამზადდეს პედკოლექტივი და სასწავლო დაწესებულების პერსონალი ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებზე, როგორც ძალადობის მსხვერპლი ბავშვის დროულად იდენტიფიცირების მიზნით, ასევე, ბავშვის მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

– კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება საპატრულო და საუბნო პოლიციის რეგულარული გადამზადების საკითხი ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების მიზნით;

- ასევე, საპატრულო და საუბნო პოლიციის რეგულარული ტრენინგები შემაკავებელი ორდერების გამოცემისას ბავშვთა საკითხების გათვალისწინების მიზნით;
- შსს-ს ახლად შექმნილი ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის გადამზადების საჭიროება ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებზე.

გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

- სოციალური მომსახურების სააგენტოში ფსიქოლოგის როლის გაძლიერება;
- სოციალური მუშაკების რეგულარული ტრენინგები რეფერირების სისტემაში მათი ეფექტურად ჩართვის მიზნით;
- გაიდლაინების მომზადება ექიმებისა და სამედიცინო დაწესებულებების პერსონალისთვის ძალადობის მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით.

2. შესავალი

ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვისთვის აუცილებელია მთელი რიგი ეფექტური ზომების გატარება, რომლებიც მიმართული იქნება სოციალური პროგრამების შექმნისკენ, ბავშვის მიმართ ნებისმიერი დანაშაულის გამოვლენისკენ, ბავშვთა დაცვის მექანიზმების შექმნისა და დამნაშავეთა დასჯის ხელშეწყობისკენ. კონვენციის მიხედვით, 18 წლის ასაკამდე ყველა ბავშვს აქვს საჭიროებები და მოთხოვნილებები შემდეგი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად:

1) თანასწორი უფლებები ბავშვებისთვის;
2) განვითარებადი შესაძლებლობების აღიარების უფლება ბავშვებისთვის, რაც შემდეგ პრინციპებს ეყრდნობა:
   - დისკრიმინაციისგან დაცვა;
   - ბავშვის ინტერესები;
   - სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების უფლება;
   - ბავშვის აზრის გათვალისწინების უფლება.

3) რაც შეეხება ბავშვის მიმართ ძალადობას, კონვენციის მიხედვით, განმარტებულია, როგორც: „ბავშვის ღირსების შემლახველი და/ან სიცოცხლისა და განვითარების შემაფერხებელი ნებისმიერი მოპყრობა“.[2]

ამავე კონტექსტში განიხილება დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის შემდეგ, რაც სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული სამართლის წესით დასჯადი სხვადასხვა ქმედებით გამოვლინდება. ძირითადად, გამოყოფენ შემდეგ კლასიფიკაციას: ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ძალადობა, უგულებელყოფა და სხვა.

ჩამოთვლილი ძალადობის ფორმები ბავშვის მიმართ ხორციელდება ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებასა და მედიასივრცეში. თითოეულ ამ სფეროში განხორციელებული ძალადობა სხვადასხვა სიხშირის და ბავშვისთვის სერიოზული რისკის შემცველია. სწორედ ამით არის განპირობებული კვლევაში ბავშვის მიმართ ძალადობის განხორციელების სფეროების დაყოფა სიხშირისა და განმეორების რისკების მიხედვით. რაც შეეხება ბავშვისთვის ძალადობის შედეგად მიყენებულ ზიანს, ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ თუ სხვა ტიპის ტრავმებს, მისგან გამოწვეულ შედეგებს და საჭიროებებს, ისინი სარეკომენდაციო ნაწილში ერთად არის ჩამოყალიბებული.

შესაბამისად, ***კვლევის მიზანია*** და მასში განხილული იქნება ბავშვის მიმართ ძალადობის ჩამოთვლილი ფორმები ზემოაღნიშნული სფეროების მიხედვით, რაც მეტად მნიშვნელოვანია მათი საჭიროებების გამოკვეთის, შეფასებისა და დაცვის სათანადო ზომების შერჩევისა და სრულფასოვანი რეაბილიტაციისთვის.

3. ბავშვის მიმართ ძალადობის ფორმები

ბავშვის მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და სერიოზული პრობლემაა. საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე განხორციელებული ბოლო ცვლილებების მიუხედავად, ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხი კვლავ აქტუალურ თემად რჩება. სიტუაციას ართულებს ისიც,

[2] იქვე.

რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა ხშირად ლატენტური ხასიათისაა, რაც სპეციფიკური მიდგომების დანერგვის აუცილებლობას განაპირობებს.

ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ნებისმიერი ფორმით ძალადობისგან – იქნება ეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის ძალადობა, დაუდევარი მოქცევა, უხეში მოპყრობა თუ ექსპლუატაცია.

საერთაშორისო ინსტრუმენტების და კვლევების მიხედვით, ბავშვის მიმართ ძალადობა შეიძლება გამოხატული იყოს შემდეგი ფორმებით: ფიზიკური, სიტყვიერი, მატერიალური, სექსუალური ძალადობა და სხვა. ბავშვის მიმართ ძალადობა არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც, შეიძლება, აზიანებდეს მის ფსიქიკას და ფიზიკურ მდგომარეობას, საფრთხეს უქმნიდეს მის ჯანმრთელობას და განვითარებას.

არასრულწლოვნის მიმართ ძალადობა განხილული იქნება ფორმების მიხედვით, თუმცა, სტრუქტურულად დაჯგუფება – ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებასა და მედიაში ჩადენილი ძალადობის მიხედვით – განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ კატეგორიებში ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების დროს სხვადასხვა საჭიროება იკვეთება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის და შინაარსის რეკომენდაციის ჩამოყალიბება.

3.1. ბავშვის მიმართ ძალადობა ოჯახში

ოჯახში ძალადობა, ბოლო რამდენიმე წელია, ისეთივე დანაშაულად და საფრთხის შემცველ გარემოებად იქნა აღიარებული, როგორც ძალადობა ოჯახს გარეთ. ოჯახში ძალადობა მხოლოდ მოძალადის ან მსხვერპლის პრობლემა არ არის. იგი ნეგატიურად აისახება ასევე ოჯახის სხვა წევრებზე, რომლებიც, შესაძლოა, არც იყვნენ ძალადობის პირდაპირი ობიექტები. ოჯახში ძალადობას განსაკუთრებით დამანგრეველი გავლენა აქვს ბავშვებზე, მიუხედავად იმისა, ბავშვი პირდაპირი მსხვერპლია თუ ირიბი.

ძალადობის განმეორების შესაძლებლობა და ალბათობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფი რეაგირებით და ადეკვატური მოქმედებით აღიკვეთება მოძალადის საქციელი და რამდენად სწრაფად მოხდება მსხვერპლის, მით უმეტეს, არასრულწლოვანი

მსხვერპლის საჭიროებების გამოვლენა, მისი დახმარებისა და სრულფასოვანი რეაბილიტაციის მიზნით.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობა და მისი რეციდივის აღკვეთა მხოლოდ სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობაზე არ არის დამოკიდებული. აქ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საზოგადოების ჩართულობას და პასუხისმგებლობის განცდას, რაც ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, სრულიად არაადეკვატურია. საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების გამო კი, მსხვერპლი ხშირად ვერ ბედავს, დაუპირისპირდეს ოჯახში ძალადობას, მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს, იზრუნოს ბავშვების მომავალზე და ა.შ. ამ დამოკიდებულებას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ხშირად და ბევრ კულტურაში, მათ შორის საქართველოშიც, ოჯახში ძალადობა მიიჩნევა ოჯახის საქმედ, მსხვერპლისა და მოძალადის პირად ურთიერთობად. ამას კიდევ უფრო ამძაფრებს მოძალადის მიმართ ქალისა და ბავშვების დაქვემდებარებული როლი, რაც ხშირად ხდება ოჯახში ძალადობის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების მიზეზი.

ამგვარი პრაქტიკისა და მიდგომის არსებობა დამანგრეველ გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნები ხშირად არათუ სასტიკ მოპყრობას სწავლობენ და ეჩვევიან, არამედ იმასაც ხედავენ, რომ ასეთი ქმედება დასაშვებია და საზოგადოება მას ქცევის დამკვიდრებულ ფორმად აღიქვამს. ბავშვობაში გადატანილი ოჯახში ძალადობის შემთხვევები კი, მძიმე გავლენას ახდენს ზრდასრულობის ასაკში მათ ოჯახურ ცხოვრებაზე.

ბავშვის მიმართ ოჯახში განხორციელებული ძალადობის ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმების გარდა, კანონმდებლობით განსაზღვრულია ასევე ოჯახში ძალადობის სხვა ფორმები,[3] თუმცა, წარმოდგენილ კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ბავშვის მიმართ ოჯახში ჩადენილი ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებსა და მათ გავლენაზე ბავშვის განვითარების პროცესში.

[3] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის და/ან ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 2006, მ.3.

3.1.1. ფიზიკური ძალადობა

ფიზიკური ძალადობა ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა. ამგვარ ძალადობად მიიჩნევა ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ტკივილის მომტანია ბავშვისთვის, ან სხეულის სხვადასხვა სახით დაზიანების გამომწვევია. ყველაზე გავრცელებული ფორმებია: დარტყმა, სილის გაწვნა, ხელის კვრა, ზოგიერთ შემთხვევაში, ცემა და წამებაც კი, ბავშვისთვის ფიზიკური ტკივილის ან ტანჯვის მიყენება.

ფიზიკური ძალადობის გამოვლენა, ძალადობის სხვა ფორმებთან შედარებით, გაცილებით იოლია, ვინაიდან ამ დროს სახეზეა ძალადობით გამოწვეული დაზიანებები, როგორიცაა: სისხლჩაქცევები, კოპები, მოტეხილობები, ნაჭრილობევები სხვადასხვა ხარისხის შეხორცებებით.[4] ასეთი რისკის ქვეშ განსაკუთრებით იმყოფებიან მდედრობითი სქესის ბავშვები, რომლებიც შეიძლება ხშირად არა მხოლოდ მოძალადე მშობლების, არამედ ოჯახის სხვა წევრების, დედმამიშვილების მხრიდანაც გახდნენ ძალადობის მსხვერპლები. არსებული კვლევებისა და ანგარიშების მიხედვით, საქართველოში 2-14 წლამდე ბავშვების 20%-ზე მეტს ფიზიკურად სცემენ და ამას უმეტესად მამები აკეთებენ.[5]

ამგვარი ძალადობის შედეგები არასრულწლოვნებზე სხვადასხვა ფორმით აისახება. ბავშვების უმრავლესობას, რომლებმაც ფიზიკური ძალადობა განიცადეს, მხოლოდ ზედაპირული დაზიანებები აღენიშნებათ, თუმცა, ძალადობის გავლენა უფრო ღრმაა. ბავშვებს უვითარდებათ შიში, შფოთვა, აგრესია, ქცევის უკიდურესი სისასტიკე, რაც ძირითადად მათი საპასუხო რეაქციაა განცდილი ძალადობის გამო. ხშირად ბავშვი იაზრებს, რომ ძალადობისგან თავის დაღწევა არ შეუძლია, იგი მოძალადეზეა დამოკიდებული და ვერსად წავა. შესაბამისად, მისი რეაქცია ან უკიდურეს მორჩილებაში ან სასტიკ ქცევაში გამოიხატება. ერთიც და მეორეც ერთნაირად საშიშია ბავშვის განვითარებისთვის.

ფიზიკური სასჯელების გამოყენება ბავშვის მიმართ არცერთ შემთხვევაში ეფექტური არ არის და არ შეიძლება გამოყენებული

---

[4] გაეროს ანგარიში ოჯახში ძალადობის შესახებ, 2006 წ. *http://www.unicef.org/violencestudy/worldreportonviolenceagainstchilrden.pdf*

[5] იქვე.

იყოს, როგორც აღზრდის საშუალება და მეთოდი. ფიზიკური ძალადობის შემდეგ ბავშვს მხოლოდ მორალური ტრავმა, ფიზიკური ტკივილის განცდა და მოძალადის მიმართ ბრაზი რჩება.[6] მან შეიძლება გამოასწოროს თავისი საქციელი, თუმცა, ამის სურვილი არ აქვს და მხოლოდ სასჯელის შიშით აკეთებს. თავისთავად, ეს აღზრდაში დაშვებულ შეცდომად უნდა შეფასდეს. ძალადობრივი მეთოდებით აღზრდილი ბავშვები ყალიბდებიან საკუთარ თავში ჩაკეტილ და, ხშირ შემთხვევაში, წარუმატებელ ადამიანებად.

3.1.2. ფსიქოლოგიური ძალადობა

ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ხშირად ემოციური ძალადობის სახელითაც იხსენიებენ, ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა მოიცავს მის დაშინებას, ოჯახის წევრების მხრიდან კრიტიკას, აგრესიულ დამოკიდებულებას, ზოგ შემთხვევაში – უსამართლო დადანაშაულებას, ბრალდებებს, მომეტებული კონტროლის პრაქტიკას, დაცინვას, ყვირილს, სისტემატურ შეურაცხყოფას,[7] ასევე, დამამცირებელ მიმართვას, მიტოვების მუქარას და ა.შ.

ფსიქოლოგიური ძალადობა ძნელი ამოსაცნობია, განსაკუთრებით, როცა ის ბავშვის მიმართ ხორციელდება. ძალადობის ამ ფორმას გაცილებით მძიმე შედეგები მოაქვს, ვიდრე ფიზიკურ ძალადობას, ვინაიდან იგი მიმართულია იმისკენ, რომ აკონტროლოს არასრულწლოვანი, მართოს მისი ნებისმიერი ქმედება. ძალადობის ამ ფორმის მიზანი ბავშვის სრული მორჩილების მიღწევაა.[8]

შედეგად, ვითარდება დაბალი თვითშეფასება, თვითიზოლაცია, ბავშვი კარგავს დამოუკიდებლობის შეგრძნებას. გარდა ფსიქოლოგიური ტრავმისა, ძალადობის ამ ფორმის სისტემატური განხორციელებისას, ბავშვებში ყალიბდება მეტყველების

---

[6] თ.მახარობლიძე, „არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფორმები და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები“, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, 2, 2017, გვ. 26.

[7] მ. მესხი, „არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული უფლებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სამართალწარმოებისას (გაერთიანებული ერების სამოდელო კანონმდებლობის მიხედვით)”, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, 1, 2017, გვ. 37.

[8] იქვე.

შეფერხება, თავის ტკივილი, ნევროზული ქცევა, თვითდაზიანება, ენურეზი და სხვა ტიპის ჯანმრთელობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაცია ხანგრძლივვადიან პროფესიულ ჩარევას საჭიროებს და კვლევის სარეკომენდაციო ნაწილში იქნება ჩამოყალიბებული.

3.1.3. სექსუალური ძალადობა

სექსუალური ძალადობა ბავშვის მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და დამანგრეველი ფორმაა. სექსუალური ძალადობა გულისხმობს ბავშვის მიმართ სქესობრივ კავშირს ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მისი უმწეობის გამოყენებით. სექსუალური ძალადობა შეიძლება გამოხატული იყოს როგორც სქესობრივი აქტით, ასევე შეხებით, მოფერებით ან სხვა ამგვარი ქმედებით, სექსუალური ხასიათის შენიშვნებით, პორნოგრაფიული სურათების და ფილმების ჩვენებით, ბავშვისთვის პორნოგრაფიული ხასიათის ფოტოების გადაღებით.

ბავშვის მიმართ ოჯახში ჩადენილი სექსუალური ძალადობის შედეგები, გარდა ფსიქოლოგიური პრობლემებისა, გამოხატულია შემდეგი ხასიათის ფიზიკურ დაზიანებებში: სასქესო ორგანოების ტრავმები, მუცლის ტკივილები, კოშმარები , უძილობა, დეპრესია, კვების დარღვევა, ორსულობა, სქესობრივი გზებით გადამდები დაავადებები.

სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს, ბავშვის თანხმობით მოხდა ეს თუ – არა, ვინაიდან ხშირად ბავშვს არ შეუძლია, სრულად გააცნობიეროს მის მიმართ განხორციელებული ქმედების არსი.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით,[9] ქალთა მხოლოდ 3,9%-მა აღიარა, რომ ისინი ოჯახში სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. ბავშვებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია, რაც საკითხის ტაბუირებით, არასრულწლოვნის შიშით, სირცხვილით ან სხვა გარემოებებით არის გამოწვეული. შესაბამისად, ეს კიდევ უფრო ართულებს არა მარტო ძალადობის ამ ფორმის იდენტიფიცირებას, არამედ ძალ-

[9] გაეროს ანგარიში ოჯახში ძალადობის შესახებ, 2018.

ადობის მსხვერპლი ბავშვის მიმართ შესაბამისი საჭიროებების კვლევას და მისი რეაბილიტაციისთვის გადაუდებელი ღონისძიებების ჩამოყალიბებას.

3.1.4. უგულებელყოფა

„ქალის მიმართ ძალადობის და/ან ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით,[10] უგულებელყოფა განმარტებულია, როგორც „მშობლის და/ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო თუ სხვა მომსახურებით სარგებლობისთვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია და ხელი მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.“

უგულებელყოფა, როგორც ბავშვის მიმართ ოჯახში განხორციელებული ძალადობა, აღიარებულია „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“[11] დოკუმენტით, რომლის მიხედვითაც, უგულებელყოფა არის მშობლის/მშობლების, კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ ბავშვის ფიზიკური (მათ შორის კვება, ჰიგიენა, საცხოვრისი), ფსიქოლოგიური მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის ან/და ბავშვისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებისთვის, აგრეთვე, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისთვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო

[10] იხ. სქოლიო 3.

[11] „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება, მ.3, „თ“ ქვეპუნქტი.

ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე.

ბავშვის მიმართ ამ ფორმით განხორციელებული ძალადობის შედეგები, ძირითადად, ვლინდება ჰიგიენური ნორმების დაუცველობაში, ქრონიკულ დაავადებებში, დაბალ თვითშეფასებაში, რაც აფერხებს ბავშვის როგორც ფიზიკურ განვითარებას, ასევე, საფრთხეს უქმნის მას ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით, განათლებისა და სხვა ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის კუთხით.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უგულებელყოფა ძალადობის სპეციფიკური ფორმაა და, ძირითადად, ოჯახშია გავრცელებული. შესაბამისად, აღნიშნული მიზეზის გამო, კვლევაში წარმოდგენილ შემდეგ თავებში უგულებელყოფა განხილული არ იქნება.

ბავშვის მიმართ ოჯახში განხორციელებული ძალადობის ფორმების განხილვისა და გაანალიზების შემდეგ, იკვეთება ის ხანგრძლივი და საზიანო შედეგები, რომლებიც არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას მოსდევს. ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა საჭიროებების განსაზღვრის მიზნით კი, აუცილებელია ზემოაღნიშნული ფორმების ცოდნა და რეაგირება შესაბამისი სპეციალისტების მხრიდან.

3.2. ბავშვის მიმართ ძალადობა სკოლაში

ბავშვის მიმართ ძალადობის განხორციელების რისკი და საშიშროება დიდია არა მხოლოდ ოჯახში, არამედ სკოლაში და სასწავლო დაწესებულებებში, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ბავშვები დროის უმეტეს ნაწილს, ოჯახის შემდეგ, სკოლაში ატარებენ.

ქვემოთ განხილული იქნება სკოლაში ბავშვის მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები, რაც სარეკომენდაციო ნაწილის ჩამოსაყალიბებლად უაღრესად მნიშვნელოვანია.

3.2.1. ფიზიკური ძალადობა

სკოლაში ბავშვთა მიმართ ძალადობა მსოფლიოში გავრცელებული პრობლემაა. ოჯახის შემდეგ სკოლა ერთ-ერთი ადგილია,

სადაც ბავშვი შეიძლება ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდეს. ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა 28% მიუთითებს, რომ ან თავად არის ძალადობის მსხვერპლი, ან იცის, რომ მისი მეგობრის მიმართ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა.[12]

სკოლაში ბავშვის მიმართ ფიზიკური სასჯელის გამოყენების მიზეზები სხვადასხვაგვარია. არასათანადო ყოფაქცევის ან საშინაო დავალების არქონის გამო, პედაგოგები ზოგჯერ ცემას მიმართავენ.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სკოლებში ძალადობის აღმოფხვრა. დაუშვებელია ძალადობა ბავშვის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური თუ სხვა ტიპის შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევაში, სკოლამ დაუყოვნებლივი რეაგირება უნდა მოახდინოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

გარდა ამისა, ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, აკრძალულია ბავშვის მიმართ ნებისმიერი ძალადობა. უზრუნველყოფილი უნდა იყოს პედაგოგთა გადამზადება ამ მიმართულებით.

სკოლაში ძალადობის, განსაკუთრებით კი, ფიზიკური ძალადობის შემთხვევების სიხშირის მიხედვით, ნაკლებსავარაუდოა კანონმდებლობის ეფექტურობაზე საუბარი. მით უმეტეს, როცა გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარის რეკომენდაციის მიხედვით, აუცილებელია, აიკრძალოს დისციპლინის ზომად ფიზიკური დასჯის ან სხვა მსგავსი ტიპის სასჯელის გამოყენება.[13] ამ კუთხით, აუცილებელია კანონის გამკაცრება, პედაგოგთა გადამზადების უწყვეტობა, რათა სკოლის პედკოლექტივი აქტიურად იყოს ჩართული ძალადობის აღმოფხვრაში, ვინაიდან ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობა, ოჯახში თუ სკოლაში, ერთგვაროვნად დამანგრეველი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური შედეგების გამომწვევია.

---

[12] ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი, გვ. 5.

[13] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი, №8, პარა 35.

3.2.2. ფსიქოლოგიური ძალადობა/ბულინგი

ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა სკოლაში თითქმის იმავე მეთოდებით ხორციელდება, როგორც ოჯახში. შესაბამისად, ამ თავში ყურადღება ძირითადად გამახვილებული იქნება ძალადობის ისეთ ფორმაზე, როგორიცაა ბულინგი. ბულინგით გამოწვეული ზიანი ბავშვისთვის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობით მიყენებულ ზიანზე არანაკლებია.

ბულინგი ხორციელდება, ძირითადად, თანატოლების მხრიდან და იგი არ არის აღზრდის ფორმად მიჩნეული ძალადობა. ბულინგი გულისხმობს ბავშვის მიერ სხვა ბავშვის აგრესიულ დევნას, რაც რეალური ან წარმოსახვითი უთანასწორობით შეიძლება იყოს გამოწვეული. ბულინგი გამოხატულია ბავშვის დამცირებაში თანატოლის ან თანატოლთა მხრიდან, დამამცირებელ გამონათქვამებში მისი გარეგნობის, ჩაცმულობის, აკადემიური მოსწრების გამო (მათ შორის, ხშირია ბულინგი მაღალი აკადემიური მოსწრებისას). ბულინგი ასევე გულისხმობს ბავშვისთვის თანატოლთა მხრიდან გამუდმებით ფულის მოთხოვნას, მათ ნაცვლად საშინაო დავალებების შესრულებას ან მათ მიერ ჩადენილი სხვადასხვა ქმედების საკუთარ თავზე დაბრალების იძულებას.

ბულინგის მსხვერპლი ბავშვები ხშირად ასოციალურები ხდებიან, ვინაიდან ეშინიათ ან რცხვენიათ თანატოლთა მიერ ჩადენილი აგრესიის გამჟღავნების. შესაბამისად, მათ მიმართ განხორციელებული აგრესიის და პროცესის ხანგრძლივობის გამო, ისინი ან თავად იწყებენ მათზე მცირეწლოვანი ბავშვების ჩაგვრას, ან უკიდურესად სასტიკი ქმედებებით ავლენენ საკუთარ პროტესტს.

3.2.3. სექსუალური ძალადობა

ბავშვის მიმართ სკოლაში სექსუალური ძალადობის შემთხვევათა მაჩვენებელი არ არის ისეთი მაღალი, როგორიც ძალადობის ზემოაღწერილი სხვა ფორმების შემთხვევაში, თუმცა, ასეთ ფაქტებს ადგილი მაინც აქვს.

სკოლაში სექსუალური ძალადობა შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც პედაგოგის, ისე თანატოლების მიერ. პედაგოგის მიერ ჩადენილი სექსუალური ძალადობა შეიძლება განპირობებული იყოს მაღალი ნიშნის ან ნებისმიერი სხვა სარგებლის დაპირების ფორ-

მით, ანდა პედაგოგის მხრიდან ბავშვზე არსებული ძალაუფლების გამოყენებით. ბავშვის მხრიდან მის მიმართ სექსუალური ხასიათის მოქმედების განხორციელებაზე თანხმობის შემთხვევაშიც კი, პედაგოგის მიერ ბავშვის მიმართ ჩადენილი ქმედება მიჩნეული უნდა იყოს სექსუალურ ძალადობად და უნდა დადგეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

რაც შეეხება თანატოლთა მხრიდან განხორციელებულ სექსუალურ ძალადობას, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ტრავმების თვალსაზრისით, თითქმის არ განსხვავდება პედაგოგის მიერ ჩადენილი ძალადობისგან. აღნიშნული ფაქტების თავიდან აცილების მიზნით, სკოლის ადმინისტრაციის და სახელმწიფოს მიერ სპეციფიკური ღონისძიებები უნდა გატარდეს, როგორიცაა, მაგალითად, მანდატურის სამსახურის გაძლიერება, მათი უფლებების გაფართოება ან სხვა ტიპის ღონისძიებების დანერგვა, რაც სარეკომენდაციო ნაწილში იქნება ჩამოყალიბებული.

სკოლაში ჩადენილი ძალადობის ყველა ზემოაღნიშნული ფორმა ერთნაირად საზიანოა ბავშვისთვის. აუცილებელია, სახელმწიფოს მხრიდან კიდევ უფრო გამკაცრდეს შესაბამისი ზომები ამგვარ დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად.

3.3. ბავშვის მიმართ ძალადობა საზოგადოებაში

საქართველოში ბავშვის მიმართ ძალადობის მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა. მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა დასაშვებია და რომ ძალადობრივი ფორმების, როგორც აღზრდის მეთოდის, გამოყენება არაძალადობრივ ფორმებზე ეფექტურია.[14] ასეთი მიდგომა კიდევ უფრო სახიფათოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ხელს უწყობს ძალადობის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების გაღრმავებას, რაც მთელი რიგი აუცილებელი ღონისძიებების განხორციელების საჭიროებას ადასტურებს.

არსებული კვლევების მიხედვით, საზოგადოება განასხვავებს ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფორმებს, თუმცა, ყველა

[14] ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში — ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის შესახებ, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013.

ფორმის შინაარსი ერთნაირად არ ესმის. მაგალითად, ფიზიკური ძალადობის განხორციელება, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არათუ ძალადობად არ არის მიჩნეული, არამედ, ხშირ შემთხვევაში, პირიქით – აღზრდის საშუალებადაც კი ითვლება. ოჯახსა და სკოლაში ბავშვის მიმართ ჩადენილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, ისევე როგორც უგულებელყოფა, წინა თავებში იყო განხილული. შესაბამისად, როგორიც არ უნდა იყოს საზოგადოების დამოკიდებულება ძალადობის ამ ფორმების მიმართ, ბავშვის მიმართ საზოგადოებაში არსებული ძალადობის ფორმებად ცხადია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობაც მოიაზრება.[15]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ამ თავში განხილული იქნება ბავშვის მიმართ ძალადობის ის ფორმები, რომლებიც წინა თავებში განხილული არ ყოფილა, მაგრამ საზოგადოებაში არცთუ იშვიათად გვხვდება.

3.3.1. ექსპლუატაცია

ბავშვის ექსპლუატაცია არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ძალადობის ერთ-ერთი მძიმე ფორმაა. აუცილებელია, ბავშვი დაცული იყოს ექსპლუატაციისგან, განსაკუთრებით, ისეთი სამუშაოს შესრულებისგან, რომელიც აზიანებს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლის არასრულწლოვნის მორალურ, ფიზიკურ და სოციალურ განვითარებას.

ბავშვის მიმართ ექსპლუატაცია, ძირითადად, შეიძლება გამოხატული იყოს ორი ფორმით: ეკონომიკური და სექსუალური ექსპლუატაცია ან ორივე ერთად.

იმის მისაღწევად, რომ ბავშვი ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი არ გახდეს, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მისი დაცვა მსგავსი ტიპის ქმედებებისგან. ამ მიმართულებით აუცილებელია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა:

- სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკის დადგენა;
- სამუშაო დროის ხანგრძლივობის და შრომის პირობების აუცილებელი მოთხოვნების მკაცრად განსაზღვრა;

[15] ვინაიდან წინა თავებში დაწვრილებით იყო განხილული როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმები, წარმოდგენილი თავი ამ ფორმებს აღარ ეხება.

– ამ მოთხოვნათა ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფა შესაბამისი სანქციებით.[16]

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვის დაცვა სექსუალური ექსპლუატაციისგან, რაც სექსუალური ძალადობისგან განსხვავებული ფორმაა. სწორედ ამიტომ სექსუალური ძალადობა კვლევის მომდევნო თავში იქნება განხილული.

რაც შეეხება სექსუალურ ექსპლუატაციას, ბავშვი დაცული უნდა იყოს სექსუალური ხასიათის ნებისმიერ საქმიანობაში ჩართულობისგან. აუცილებელია, გატარდეს სპეციალური ღონისძიებები და გამკაცრდეს შესაბამისი ზომები, რათა თავიდან იყოს აცილებული ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია, რაც შემდეგ ძირითად ფორმებშია გამოხატული:

– ბავშვის დაყოლიება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ ქმედებაზე ან იძულება, მონაწილეობა მიიღოს ასეთ ქმედებებში;
– ბავშვის გამოყენება პროსტიტუციასა ან სხვა ტიპის სექსუალურ პრაქტიკაში;
– ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში.

ბავშვის ეკონომიკური თუ სექსუალური ექსპლუატაციის ზრდა გამოწვეულია, ძირითადად, ეკონომიკური კრიზისით, სიღარიბით, არასრულწლოვნის სექსუალურ მომსახურებაზე მოთხოვნილების ზრდით და ბევრი სხვა მიზეზით. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ბავშვთა გამოყენება ხდება პროსტიტუციის, პორნოგრაფიის, სექსტურიზმის, შრომითი ექსპლუატაციის, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის და სხვა ფორმებით. ამგვარ ქმედებებში ბავშვების ჩათრევა ხორციელდება ისეთი ხერხებით, როგორიცაა მოტყუება და მიმზიდველი პირობების შეთავაზება. მათი გადაბირების მიზნით, ზოგჯერ ასევე გამოიყენება მუქარა და იძულება.

რაც შეეხება ბავშვთა პორნოგრაფიას, ამ დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება ნებისმიერი ბავშვი გახდეს. ყველაზე მეტი საშიშროება კი იმ ბავშვებს ემუქრება, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ ან პროსტიტუციას ეწევიან. სწორედ ეს კატეგორია დგას პორნოგრაფიის წარმოებაში მოხვედრის რისკის ქვეშ.

[16] იხ. სქოლიო 7, გვ. 12.

ტექნოლოგიების განვითარებამ კიდევ უფრო გააადვილა გადაბირების პროცესი, მით უმეტეს, რომ სოციალური ქსელების, ინტერნეტის და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების მომხმარებლები ძირითადად არასრულწლოვნები არიან.

ყველა ზემოაღნიშნული ქმედება ზიანს აყენებს ბავშვის პირად უფლებებსა და თავისუფლებებს, ექსპლუატაციისგან დაცულობის, განათლების მიღების უფლებას, კეთილდღეობის ნებისმიერ ასპექტს, პირველ რიგში კი, ბავშვის ჯანმრთელობას, მის ფსიქოლოგიურ და მორალურ განვითარებას.

გარდა ამისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, რომ ბავშვებმა, რომლებიც ექსპლუატაციის მსხვერპლნი გახდნენ, მოგვიანებით, შეიძლება თავადაც ისარგებლონ სხვების ექსპლუატაციით. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ყურადღება მიაქციოს ბავშვთა დაცვას ექსპლუატაციისგან, შექმნას შესაბამისი კანონმდებლობა, გაამკაცროს სასჯელები და გამოიყენოს ყველა სხვა ზომა ამ დანაშაულის აღსაკვეთად.

3.3.2. სექსუალური ძალადობა

რაც შეეხება ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობას, როგორც წინა თავებში აღინიშნა, ოჯახისა და სკოლის გარდა, ის ასევე შეიძლება ჩადენილი იყოს საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ბავშვი დაცული იყოს ძალადობისაგან ყველგან, ნებისმიერ ასპექტში.

მას შემდეგ, რაც 2010 წელს ძალაში შევიდა ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ – ე.წ. „ლანზაროტის კონვენცია" – ხელშემკვრელ სახელმწიფოებს დაეკისრათ ბავშვის მიმართ ჩადენილი სხვადასხვა ფორმის სექსუალური ხასიათის ძალადობის სისხლისსამართლებრივი წესით დევნის ვალდებულება. შესაბამისად, მიმდინარეობს ეროვნული კანონმდებლობის დახვეწის პროცესი.

კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გარდა, აუცილებელია სექსუალური მოძალადის ფსიქოლოგიური ტიპების განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს როგორც ძალადობის პრევენციას, ისე ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირებას, რაც ხშირად, შესაძლოა, ბავშვის მიერ განუცხადებელი დარჩეს.

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები ორ ძირითად კატეგორიად შეიძლება დაიყოს: შემთხვევითი (სიტუაციური) და პრეფერენციული (უპირატესობის მიმცემი) პირები.

შემთხვევით პირებს ბავშვების მიმართ განსაკუთრებული სექსუალური ინტერესები არ გააჩნიათ და სექსუალურ ძალადობას იმიტომ სჩადიან, რომ ამის შესაძლებლობა ეძლევათ. ისინი ხვდებიან სიტუაციაში, სადაც ბავშვის მიმართ ამგვარი მოქმედების განხორციელება შეუძლიათ და ამით სარგებლობენ.[17]

რაც შეეხება პრეფერენციულ პირებს, მათ ბავშვთა მიმართ მკვეთრად გამოხატული ინტერესი აქვთ და, მოზრდილებთან შედარებით, ბავშვებს ანიჭებენ უპირატესობას.[18]

მიუხედავად იმისა, რომ პრეფერენციული კატეგორიის პირები არც თუ ისე მრავლად არიან, როგორც შემთხვევითები, ნებისმიერ შემთხვევაში, ბავშვებისთვის მათ არანაკლები ზიანის მიყენება შეუძლიათ. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს პრეფერენციული პირების ტიპიზაცია. ძირითადად, გამოყოფენ პრეფერენციული პირების სამ კატეგორიას:

- მაცდუნებელი პირები (Seducers), რომლებიც ბავშვების მისაზიდად სხვადასხვა ხერხს იყენებენ, როგორიცაა საჩუქრები, ყურადღება, ზრუნვის გამოხატვა. ხშირად ეს კატეგორია ბავშვისთვის კარგად ნაცნობი პირია და, ამის გამო, ბავშვი ზოგჯერ არც კი ეწინააღმდეგება მოძალადეს. თუმცა, მოგვიანებით, აღნიშნულმა პირებმა შეიძლება ასევე გამოიყენონ შანტაჟი ან მუქარა, რათა თავიდან აიცილონ ბავშვის მხრიდან მხილება. შესაძლოა, მოძალადეს არც დასჭირდეს ამ უკანასკნელი ქმედებების განხორციელება, ვინაიდან ბავშვები ხშირად საკუთარ თავს ადანაშაულებენ მომხდარში და ამ გრძნობის გამოწვევას მათში სწორედ მოძალადე ცდილობს;
- ჩაკეტილი ანუ ინტროვერტი პირები, რომლებიც მაცდუნებელ უნარებს ნაკლებად ფლობენ, ბავშვებთან ვერბალურ კონტაქტს არ ამყარებენ ან ერიდებიან და მსხვერპლებად, ძირითადად, უცნობ ან მცირეწლოვან ბავშვებს ირჩევენ;

[17] იხ. სქოლიო 6, გვ. 29.

[18] იქვე.

– მოძალადე-სადისტები (Sadistic Offenders), რომლებიც ყველაზე ნაკლებად გავრცელებულ კატეგორიად ითვლება, რეალურად, ყველაზე საშიშები არიან, ვინაიდან სექსუალური ძალადობის გარდა, ისინი სიამოვნებას ბავშვისათვის ტკივილის მიყენებითაც იღებენ. ხშირად ეს კატეგორია, სექსუალურ ძალადობასთან ერთად, ბავშვების გატაცებას და მკვლელობასაც კი სჩადის.[19]

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები ხშირად ვერ აცნობიერებენ მომხდარს, აქვთ სირცხვილის გრძნობა ან ეშინიათ, განაცხადონ მომხდარის შესახებ.

გარდა ამისა, ბავშვები მათ მიმართ ჩადენილ სექსუალურ ძალადობას მალავენ იმის გამოც, რომ დარწმუნებულნი არ არიან, მათ დაუჯერებენ და არ დასჯიან.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვის საჭიროებების კვლევისას არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე სექსუალური ძალადობის შეგუების სინდრომის ცოდნა, რაც სპეციალისტებს ეხმარება, უკეთ ჩასწვდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მხრიდან ძალადობის ფაქტის გახმაურების შიშსა და სირთულეს.

ბავშვის მიერ მის მიმართ განხორციელებული ძალადობის შემდეგ განვითარებული განცდა შემდეგი ელემენტებისგან შედგება:

– გასაიდუმლოება;
– უსუსურობა;
– შეგუება;
– არათანმიმდევრული გამხელა;
– უკან დახევა.[20]

ამ თეორიის ცოდნა სპეციალისტებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, როგორც უკვე აღნიშნა, ხშირად მალავენ ამ ფაქტს, ან მოგვიანებით არათანმიმდევრულად გადმოსცემენ. არაკვალიფიციური მიდგომის შემთხვევაში, ბავშვის დახმარების ნაცვლად, სავსებით შესაძლებელია, უკუშედეგი დადგეს.

---

[19] იქვე.

[20] თეორია ეკუთვნის ამერიკელ ფსიქიატრს როლანდ სამიტს, რომელმაც ჩამოთვლილი ელემენტები ძალადობისადმი ბავშვის შეგუების სინდრომად 1983 წელს ჩამოაყალიბა (CSAAS).

აქედან გამომდინარე, ძალადობის ამ ფორმის მსხვერპლი ბავშვების საჭიროებების გამოკვეთისა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისას, აუცილებელია ზემოაღნიშნული ყველა ფაქტორის გათვალისწინება, მოძალადე პირების ფსიქოლოგიური ტიპების ცოდნის ჩათვლით.

3.4. ბავშვის მიმართ ძალადობა მედიასივრცეში

მედიასივრცეში ბავშვის მიმართ ძალადობის კვლევა წინამდებარე კვლევისათვის ინოვაციურია და განპირობებულია მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების აქტუალურობით, რა დროსაც აუცილებელია ბავშვის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიმართ დადგენილი სტანდარტების მხედველობაში მიღება და დაცვა.

2017 წელს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ რამდენიმე მიმართულებით ჩატარდა ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგი:[21] განათლება, უბედური შემთხვევების გაშუქება და ჯანდაცვა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მედიაში ბავშვთა საკითხების სიღრმისეული გაშუქება ფაქტობრივად არ ხდება.

წინამდებარე კვლევისთვის მნიშვნელოვანია ბავშვთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტების მედიით გაშუქების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირების ფაქტები, ჯერჯერობით ეს პრობლემა აღმოფხვრილი არ არის. არცთუ იშვიათად ხდება ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტების გაშუქება და არასრულწლოვნის ისე გადაღება, რომ მისი იდენტიფიცირება შესაძლებელი არ იყოს.

გარდა ამისა, ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობის შემთხვევების არაპროფესიონალურად გაშუქებამ, შესაძლოა, კიდევ უფრო შეუწყოს ხელი სტიგმატიზებას, რაც ბავშვის ორმაგ ვიქტიმიზაციას გამოიწვევს.

კრიტიკულად უნდა შეფასდეს არასრულწლოვანთა სუიციდის შემთხვევების გაშუქების საკითხიც. თვითმკვლელობის მეთოდების, ადგილის, მოტივისა და სხვა პირადი თემების დეტ-

[21] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგი, 2017წ. გვ. 8.

ალურად განხილვა, ანალიზის და შესაბამისი დასკვნის გარეშე, უარყოფითი შედეგების გამომწვევია, რაც მედიასაშუალებებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. სენსაციური ხასიათის სიუჟეტმა, რომელიც ბავშვის სუიციდის შემთხვევას დეტალურად, მეთოდების გაყენებით აღწერს, შესაძლოა მსგავსი პრობლემების მქონე ბავშვს იგივე ქმედების გამეორების სურვილი აღუძრას. სიუჟეტი ისე უნდა მომზადდეს, რომ არასრულწლოვნებში გახშირებული სუიციდის პრევენცია მოახდინოს და არა – პირიქით.[22]

ანალოგიურად უნდა გაშუქდეს ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების პრობლემები, ისე, რომ სიუჟეტმა არ გამოიწვიოს ბავშვების სტიგმატიზაცია ან ფსიქოლოგიური სტრესი.

ზოგადად, ბავშვთა მიმართ ძალადობის ან სხვა პრობლემების გაშუქებისას მედიაში დადებითი ტენდენციები შეინიშნება, თუმცა, საკითხი დღემდე კვლავ აქტუალურია. აუცილებელია, სარედაქციო პოლიტიკა ისე დაიგეგმოს, რომ თავიდან იყოს აცილებული ბავშვის მეორადი ვიქტიმიზაცია.

4. დასკვნა და რეკომენდაციები

ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა საჭიროებების კვლევისას განხილული იყო ბავშვებზე ძალადობა ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებასა და მედიასივრცეში. ეს ის სფეროებია, სადაც ბავშვზე ძალადობის განხორციელების ყველაზე დიდი რისკები არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ სფეროთა ამგვარი კლასიფიკაცია ბავშვის მიმართ ძალადობის განხორციელების თითქმის ყველა შესაძლებლობას მოიცავს.

ძალადობისაგან დაცვა ბავშვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა. მიუხედავად საზოგადოების დამოკიდებულებისა, რომ ზოგ შემთხვევაში ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობა აღზრდის მეთოდად იყოს განხილული, ეს პრაქტიკა აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას. სახელმწიფომ ბავშვის უფლებების დასაცავად ეფექტური და სრულყოფილი მექანიზმები უნდა შექმნას.

[22] იქვე.

ბავშვის ძალადობისგან დაცვა სხვადასხვა მექანიზმის განხორციელებაში უნდა გამოიხატოს. შესაბამისად, ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა საჭიროებების გათვალისწინებით, ამგვარი ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირება და მათი სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელების სტრატეგია ზემოაღნიშნული მექანიზმების ნაწილად უნდა იყოს განხილული.

აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების, სასწავლო დაწესებულებების თუ სხვა პროფესიონალების ჩართულობა ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების მიზნით. ასევე, კვლევები და ბავშვთა მიმართ გახშირებული ძალადობის შემთხვევები ადასტურებს, რომ ძალადობისგან ბავშვთა დაცვის სისტემა გამართვას და სრულყოფას საჭიროებს.

ბავშვთა მიმართ ძალადობისგან დაცვის ღონისძიებები, ბავშვთა საჭიროებების გათვალისწინებით და ჩათვლით, შემდეგი მიმართულებებით უნდა წარიმართოს:

ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმების დახვეწა/სრულყოფა

ბავშვთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად აუცილებელია კანონმდებლობის სრულყოფა, რაც გულისხმობს როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობას, ასევე, ბავშვის აღზრდისა და ძალადობისგან დაცვის უფლებით სრულფასოვნად სარგებლობის უზრუნველყოფას.

საქართველოში ბავშვის ძალადობისგან დაცვა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება. მაგალითად, სისხლის სამართლის 126 პრიმა მუხლი, რომლითაც კრიმინალიზებულია ოჯახში ძალადობა, ასევე გულისხმობს ბავშვის მიმართ ჩადენილ ძალადობასაც.

ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს სპეციალურ რეგულაციებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი (172[6]) მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სასჯელები ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დარღვევისას, თუმცა, აღნიშნული სასჯელები ქმედების საშიშროების ადეკვატური არ არის და აუცილებელია მათი გამკაცრება.

საქართველოს კონსტიტუციის ბოლო ცვლილებებს რაც შეეხება, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის მიხედვით, აუცილებელია, ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ ჩანაწერი საქართველოს კონსტიტუციაში ცალკე მუხლად ჩამოყალიბდეს. თუმცა, კონსტიტუცია საკმარისად არ ითვალისწინებს ბავშვის უფლებებს, მათ შორის ისეთ საკითხებს, რომლებიც სხვა ქვეყნების კონსტიტუციებით არის განსაზღვრული.[23]

ამ პათოსს იზიარებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაც, რომლის პოზიციის და მოსაზრების მიხედვით, კონსტიტუციაში ბავშვთა უფლებების ასახვა ბავშვის კეთილდღეობის პოლიტიკის გამოხატულებად და აუცილებელ ღონისძიებად უნდა იყოს მიჩნეული. საქართველოს კონსტიტუციის ტექსტში ასახული არ არის ბავშვის ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა ძალადობისგან დაცვა, შრომითი ექსპლუატაცია, სახელმწიფოს მიერ ბავშვზე ზრუნვის ვალდებულება, ბავშვთა განვითარების, ჭეშმარიტი ინტერესების უზრუნველყოფა. ამასთან, აღინიშნა, რომ, აუცილებელია, ბავშვი განიხილებოდეს როგორც უფლების სუბიექტი და არა მხოლოდ მზრუნველობის ობიექტი.[24]

ამგვარი ჩანაწერის კონსტიტუციაში არსებობა მძლავრ დასაყრდენს ქმნის ძალადობისგან, ექსპლუატაციისგან და ბავშვის მიმართ ძალადობის სხვა ფორმების განხორციელებისგან დაცვის კუთხით.

ასევე კანონით უნდა დარეგულირდეს ბავშვის უფლებების დაცვა და ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ბავშვთა ომბუდსმენი თხუთმეტამდე ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით არსებობს. შესაბამისად, კვლევის მიზნებიდან და ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელი იქნებოდა თითოეული მათგანის დეტალურად განხილვა. ქვეყნების უმეტესობა ბავშვთა იმბუდსმენს ცალკე ინსტიტუტად განიხილავს.[25]

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკის მიხედვით, სასურველია, საქართველოშიც შეიქმნას ე.წ. ბავშვთა ომბუდსმენის ინსტიტუ-

[23] იხ. სქოლიო 6, გვ. 33.

[24] იქვე.

[25] ავსტრია, ხორვატია, ფინეთი, ირლანდია, იტალია, ლიტვა, ნორვეგია, პოლონეთი, შვედეთი და სხვ.

ტი, რომლის ძირითად მოვალეობად სწორედ ქვეყანაში ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის კანონმდებლობის შექმნა/სრულყოფა და იმპლემენტაციაზე მეთვალყურეობა განისაზღვრება. ბავშვთა ომბუდსმენის ინსტიტუტის ფუნქციებში შეიძლება შევიდეს ასევე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, საკანონმდებლო პროცესში ჩართულობა და სხვა.

ზემოთ, ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ მსჯელობისას, აღინიშნა პორნოგრაფიაში ბავშვთა ჩართულობის ზრდის ტენდენცია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული მასშტაბით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ მიმართულებით ადეკვატური კანონმდებლობის შექმნა და იმპლემენტაციის უზრუნველყოფა.

აუცილებელია ბავშვის უფლებებთან მიმართებით კანონმდებლობის რეგულარული გადახედვა და საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება იმის მისაღწევად, რომ თავიდან იყოს აცილებული ბავშვის მიმართ ნებისმიერი ფორმით ძალადობა და მისი უფლებების დარღვევა.

ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციული მექანიზმების განვითარება

პრევენციული მექანიზმების განვითარება არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვის მიმართ ძალადობის აღსაკვეთად.

პრევენციული მექანიზმების ჩამოყალიბებისას, აუცილებელია, გაანალიზდეს ძალადობის გამომწვევი მიზეზები – ეს არის გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით თუ მოძალადის პიროვნული თვისებებით.

უპირველესად, დადებითად უნდა შეფასდეს პრევენციული მექანიზმების განვითარების გააქტიურების ტენდენცია. პრევენციული მექანიზმების შექმნისა და სტრატეგიების განსაზღვრის მიზნით, აუცილებელია ბავშვის მიმართ ძალადობის გამომწვევი ყველა მიზეზის გაანალიზება.

მსოფლიოს ბევრი ქვეყანა იყენებს ბავშვზე ძალადობის პრევენციისა და ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მიმართ ზრუნვის უნივერსალურ სტრატეგიად წოდებულ მიდგომას, რომელიც წლების მანძილზე ქვეყნების მიერ ამ მიმართულებით დაგროვე-

ბულ გამოცდილებას ეყრდნობა და შეიძლება მოიცავდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზეგავლენის სტრატეგიების გამოყენებას.

პირდაპირი ზეგავლენის ღონისძიებათა სტრატეგიაში შეიძლება მოიაზრებოდეს მშობელთა განათლება ბავშვის მოვლისა და აღზრდის საკითხებზე, ასევე, საზოგადოების ინფორმირება ბავშვის მიმართ ძალადობის შესახებ.

არაპირდაპირი ზეგავლენის ღონისძიებათა სტრატეგია ბავშვზე ძალადობის შემთხვევების ადრეულ იდენტიფიცირებას, დროულ ჩარევას და ინტერვენციას გულისხმობს.

ამგვარი სტრატეგიების განხილვისას, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ თითოეული სტრატეგია თუ ღონისძიება აბსოლუტური შედეგის მომტანი ვერ იქნება ერთჯერადი გამოყენების პირობებში. ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციის მექანიზმები კომპლექსურად უნდა იყოს განხილული, ჩამოყალიბებული და განხორციელებული.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პრევენციული სტრატეგიების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს როგორც ბავშვზე ძალადობის გამომწვევი რისკფაქტორები, ასევე ძალადობისგან დაცვის ფაქტორები. შესაბამისად, პრევენციული ღონისძიებები და სტრატეგიები ისე უნდა შემუშავდეს, რომ შემცირდეს ბავშვის მიმართ ძალადობის გამომწვევი რისკფაქტორები და გაიზარდოს და გაძლიერდეს ნებისმიერი ძალადობისგან ბავშვის დაცვის ფაქტორები.

პრევენციული მექანიზმების ჩამოყალიბებისას ასევე აუცილებელია მოძალადის ფსიქოლოგიური პრობლემების გათვალისწინება, რაც ამგვარი მექანიზმების ეფექტურად განხორციელებას შეუწყობს ხელს.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვების საჭიროებებზე დაყრდნობით, მათი დაცვისა და დახმარების პროგრამების განვითარება

ძალადობის მსხვერპლი ბავშვების საჭიროებებზე დაყრდნობით, მათი დაცვისა და დახმარების პროგრამების განვითარება აუცილებელი კომპონენტია ბავშვის მიმართ ძალადობის პრე-

ვენციის, აღკვეთისა და ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დაცვის თვალსაზრისით.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაღრმავება, ინფორმაციის გაცვლა როგორც ცალკეულ სპეციალისტებს, ისე სახელმწიფო უწყებებს შორის. ერთობლივად და კოორდინირებულად უნდა დაიგეგმოს ბავშვისთვის საჭირო და სასარგებლო ღონისძიებები.

ამ მხრივ, აუცილებელია, აღინიშნოს ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიცაა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები და მის განხორციელებაში ჩართული შემდეგი წამყვანი სამინისტროების როლი: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების საჭიროებებზე დაყრდნობით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და წარმართვაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ ამ სამინისტროებს ეკისრება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები, ზოგადი ხასიათის რეკომენდაციებთან ერთად, მოიცავს ასევე ამ სამინისტროებისადმი მიმართულ რეკომენდაციებსაც.

რეკომენდაციები

1. ***ბავშვის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისთვის***

   – საქართველოს კონსტიტუციაში ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ ცალკე მუხლის არსებობა;

   – ძალადობისგან ბავშვთა დაცვის მექანიზმების სრულყოფა, ყველა შესაბამისი საკანონმდებლო აქტის პერიოდული რევიზია და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჰარმონიზაცია;

   – ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე სისხლისსამართლებრივი სანქციების გამკაცრება;

   – ძალადობისგან დაცვის პროცესში მონაწილე ყველა ინსტრუმენტის და ინსტიტუციის, ნორმატიული აქტის დახ-

ვეწა და სრულყოფა (ბავშვთა პორნოგრაფია, ბავშვთა საკითხების პრესაში გაშუქება, სექსუალური ძალადობა და სხვა);

– ბავშვთა ომბუდსმენის შექმნა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტის მომზადება.

2. *ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციული პროგრამების განვითარებისათვის*

– საზოგადოების ფართომასშტაბიანი ინფორმირება ბავშვთა დაცვის რეფერირების სისტემისა და პროცედურების, ასევე, რეფერირების სისტემაში მონაწილე ყველა მხარის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება რეფერირების სისტემის მონაწილე შემდეგი მხარეების როლის თაობაზე:
    - პოლიცია;
    - სოციალური მუშაკები;
    - სკოლა და ბავშვზე ზრუნვის სამსახურები;
    - სამედიცინო დაწესებულებები;
    - რეფერირების სისტემაში მონაწილე სხვა ინსტიტუტები.

– საზოგადოების ფართომასშტაბიანი ინფორმირება ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებისას საკუთარი როლის, პასუხისმგებლობისა და ვალდებულების თაობაზე, შეატყობინონ სამართალდამცავ ორგანოებს ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობის ნებისმიერი ფაქტის შესახებ, მიუხედავად იმისა, ბავშვი ამას თავად ითხოვს თუ – არა;

– ასეთი ტიპის ინფორმაციის გავრცელებისას, აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებით, რომ ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაზე სამართალდამცავთა რეაგირება არ ნიშნავს ბავშვის ოჯახიდან წამოყვანას. საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ოჯახიდან ბავშვის გამოყვანის საფუძვლების შესახებ, ვინაიდან ამ ინფორმაციის უქონლობამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ბავშვის მიმართ ჩა-

დენილი ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას სწორედ ზემოაღნიშნული მოტივით;

- ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებისას რეფერირების სისტემის, საზოგადოების როლის და პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების პარალელურად, აუცილებელია სკოლებისა და ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების როლის პროპაგანდა ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირებისა და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით;
- პრევენციული მექანიზმების სრულყოფისთვის, აუცილებელია, დაიგეგმოს ბავშვის მიმართ ძალადობის გავლენის შესახებ მშობელთა საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიები. ასევე, საჭიროა ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის იდენტიფიცირების პირველადი ნიშნების შესახებ მშობელთა ინფორმირება, შემდგომი მოქმედებების განსაზღვრისა და განხორციელების მიზნით;
- ამავე კატეგორიაში უნდა იყოს განხილული როგორც მშობლების, ისე საზოგადოების ფართომასშტაბიანი ინფორმირება ბავშვის მიმართ ძალადობის, როგორც აღმზრდელობითი ზომების, დაუშვებლობისა და ბავშვის მიმართ ძალადობის მავნე ზემოქმედების ყველა შესაძლო გამოვლინების შესახებ;
- ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციის მექანიზმის სტრატეგიაში ყურადღება უნდა დაეთმოს სისტემატურ საინფორმაციო კამპანიებს ისეთი მოწყვლადი ჯგუფებისათვის, სადაც ბავშვის მიმართ ძალადობა არათუ დანაშაულად ითვლება, არამედ კულტურული და რელიგიური ტრადიციებით არის განმტკიცებული (მაგალითად, ეთნიკური უმცირესობები, რელიგიური უმცირესობები და სხვა).

3. *ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტების მედიის მიერ იდენტიფიცირებისა და თავიდან აცილებისთვის*

- ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების მედიაში გაშუქება ჟურნალისტური ქარტიის

მიერ დადგენილი ეთიკის ნორმების შესაბამისად, რათა თავიდან იყოს აცილებული ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მეორადი ვიქტიმიზაცია;

- ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციული მექანიზმების, ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების, დაცვისა და დახმარების პროგრამების პოპულარიზაციის შესაბამისი პროგრამების შემუშავება მედიის მიერ, მათ შორის, წინამდებარე რეკომენდაციების მეორე პუნქტით გათვალისწინებული კამპანიების წარმოების მიზნით;
- მედიის მიერ სტერეოტიპების აღმოფხვრისკენ მიმართული პოლიტიკის შემუშავება და გატარება.

4. *განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის*

- სასწავლო პროგრამების გადახედვა ბავშვის მიმართ ძალადობისგან დაცვის შესაბამისი ინფორმაციის ასახვის, ასევე, სასკოლო პროგრამებში არსებული სტერეოტიპების აღმოფხვრის მიზნით;
- საინფორმაციო ბროშურების შემუშავება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება პედაგოგთა გადამზადების, ასევე, ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით;
- ძალადობის იდენტიფიცირებისა და შემდგომი რეაგირებისთვის გაიდლაინების შემუშავება, რეფერირების სისტემისა და პროცედურების შესაბამისად;
- რეფერირების პროცედურების დახვეწა და კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია;
- საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის მავნე შედეგების შესახებ, განსაკუთრებით, ოჯახში განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით, ასევე, ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ ძალადობის სხვა ფორმების თაობაზე;
- ბავშვებისთვის საინფორმაციო და აღმზრდელობითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება ოჯახში

ძალადობის შემთხვევების, ბულინგისა თუ საზოგადოების მიერ ბავშვის მიმართ ძალადობის დროს ადეკვატური ზომების მიღებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის;

- ძალადობის მსხვერპლი ან ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის იდენტიფიცირებისთვის შესაბამისი პერსონალის დატრენინგება;
- მანდატურის როლის გაძლიერება ბავშვის მიმართ სკოლაში ძალადობის პრევენციის, ასევე, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირებისა და რეფერირების პროცედურებში ჩართვის მიზნით;
- უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების გადახედვა სოციალური, სამართლის და განათლების ფაკულტეტების მიმართულებით, რათა სასწავლო პროგრამებში მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული სასწავლო კურსები ბავშვის მიმართ ძალადობის შესახებ.

5. *შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის*

- პოლიციის აკადემიასთან მუშაობა, მათი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების განვითარება ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა იდენტიფიცირებისა და ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში, შესაბამისი სწრაფი რეაგირების მიზნით;
- პატრულების და უბნის ინსპექტორების როლის კიდევ უფრო გაძლიერება, მათი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის შესაბამისი ტრენინგების გაგრძელება, საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ ახალი ტენდენციების შესახებ მათი რეგულარული ინფორმირება;
- პოლიციის თანამშრომელთა რეგულარული ტრენინგები რეფერირების სისტემისა და ბავშვთა დაცვის რეფერალური პროცედურების შესახებ;
- ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროს პოლიციის მიერ შემაკავებელი ორდერების გამოცემისას ბავშვის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის იდენტიფიცირება, როცა არასრულწლოვანი ამაზე არ მიუთითებს.

6. *შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის*

- სოციალური მომსახურების სააგენტოში ფსიქოლოგის ინსტიტუტის დანერგვა და გაძლიერება, ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან შესაბამისი ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით;
- ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში, სოციალური მუშაკების სწრაფად და ეფექტიანად ჩართვის უზრუნველყოფა;
- ამ მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტოს მუშაკთა გადამზადება;
- რეფერალურ სისტემაში ჯანდაცვის და ბავშვზე ზრუნვის ყველა დაწესებულების მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- გაიდლაინების შემუშავება ჯანდაცვის ორგანიზაციების და სამედიცინო დაწესებულებების მიერ ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების მიზნით;
- საინფორმაციო კამპანიის წარმოება და ტრენინგები ბავშვთა ზრუნვის სისტემაში ჩართული ყველა მონაწილესთვის, კერძო კლინიკებისა და რელიგიური ორგანიზაციების ჩათვლით, ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების, რეფერირების სისტემის ამოქმედების და შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით;
- ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელება, სწრაფი რეაბილიტაციისა და ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ტრავმებისგან განკურნების ხელშეწყობა.